

ოქტომბერი, 2022



მოჯავე-რიტუ ონლაინ

საქართველოს ოკინავური გოჯუ რიუ კარატე დოს ფედერაციის ელექტრონული ჟურნალი

ნაკამურა ფიცუაზი სენსეი სანსეი IOGKF-ის მსოფლიო შავ-ინსიტორი, მე-8 დანი



ნაკამურა ტეცუკი სენსეი დაიბადა 1965 წლის 3 აპრილს, ოსაკაში (იაპონია). მან 12 წლის ასაკში დაიწყო ძიუდოს, ხოლო 15 წლის ასაკში - კარატეს შესწავლა. ნაკამურა სენსეი წლების განმავლობაში სწავლობდა ძიუდოს და მიღლო შავი ქამრის მეორე დონე ("ნიდან"). პარალელურად იგი კარატესაც უწევდებოდა.

ერთხელ, უნივერსიტეტში ყოფნისას, ნაკამურამ თავის ინსტრუქტორს უთხრა, რომ არდადეგებზე ოკინავაზე აპირებდა წასვლას მეგობრებთან ერთად, ინსტრუქტორმა კი დაბეჯითებით ურჩია,

დაკონტაქტებოდა მის (ინსტრუქტორის) სენსეის. ამრიგად, ოკინავაზე ჩასვლისას, ნაკამურა სენსეიმ დაურეკაოსტატ არაგავი შუიჩის. ნაკამურა სენსეის ინფორმაციით, კარატეს ეს ოსტატი იყო გოჯუ-რიუს დამფუძნებლის, მიიაგი ჩოჯუნ სენსეის ერთ-ერთი პირადი მოსწავლე. არაგავი სენსეი ძალიან კეთილგანწყობილი იყო ნაკამურა სენსეის მიმართ, სახლში ვახშმადაც კი მიიწყია, რომლის დროსაც დაწვრილებით მოუყვა მიიაგი სენსეისთან ვარჯიშის ისტორიებს, უამბო, თუ რაზე იყო დაფუძნებული ნამდვილი კარატე.

ნაკამურა სენსეიმ უნივერსიტეტი და-ამთავრა იურისპრუდენციისა და პოლიტიკის განხრით და ფიქრობდა, პროფესიად მასანავლებლობა აერჩია ან ბიზნესს მიჰყოლობდა, მაგრამ გეგმები შეცვალა და გადაწყვიტა, ოკინავაზე დაბრუნებულიყო. არაგავი სენსეიმ, დროის უქონლობის გამო, ვერ მოახერხა მოსწავლედ მისი აყვანა და გადა-ამისამართა ლეგენდალურ ჰიგაონნა დოჯოში. ეს IOGKF-ის შეფ-ინსტრუქტორის მორიო ჰიგაონნა სენსეის დოჯო ვახლდათ. თავად ჰიგაონნა სენსეი იმ პერიოდში უკვე ამერიკაში ცხოვრობდა, მაგრამ 1991 წელს, ოკინავაზე ►



► დაბრუნებულმა, მაშინვე შენიშნა ნაკამურა სენსეის შესაძლებლობები და ვარჯიშის სტილი. ნაკამურა სენსეიმ მალე გაიმარჯვა IOGKF-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ირიკუმი გოში და მეორე ადგილი მოიპოვა კატების შეჯიბრში. ამ მიღწევების შემდეგ ჰიგაონენა სენსეიმ ნაკამურას სთხოვა, ნაჭყოლოდა ამერიკაში, რათა იქ ერთად გაეგრძელებინათ ვარჯიში და მოღვაწეობა.

ამერიკაში ნაკამურა სენსეი ჰიგაონენა სენსეის სახლში ცხოვრობდა, მისი უჩიდეში (მთავარი მოსწავლე) გახდა. მალევე ნაკამურა სენსეიმ სან მარკოს დოკოს ასისტენტ-ინსტრუქტორის სტატუსი მიიღო; 1994 წელს კიდევ ერთხელ გაიმარჯვა IOGKF-ის მსოფლიო ჩემ-

პიონატზე ირიკუმი ჯუსა და კატაში, 1995 წელს სახელი საყოველთაოდ გაითქვა მას შემდეგ, რაც პირდაპირი ასისტენტობა გაუზია ჰიგაონენა სენსეის „Power Training“ დოკუმენტური ვიდეოფილმის გადაღებისას.

1997 წელს ნაკამურა სენსეი საცხოვრებლად გადავიდა კანადაში და მალე დაქორწინდა კიდეც. 2002 წელს ჰიგაონენა სენსეიმ იგი დანიშნა საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციულ დირექტორად, 2003 წელს კი-IOGKF კანადის შეფინასტრუქტორად.

ნაკამურა სენსეის სწავლების, ტექნიკისა და დამოკიდებულების შემხედვარებ, ჰიგაონენა სენსეიმ იგი 2008

წელს დანიშნა IOGKF-ის ვიცე-პრეზიდენტად.

2012 წელს იაპონიაში, ბუდოსაის შეკრებაზე, ჰიგაონენა სენსეიმ მის მემკვიდრეობიდან და ორგანიზაციის შეფინასტრუქტორად ნაკამურა სენსეი დაასახელა. ამ განაცხადს IOGKF-ის მმართველი საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

2022 წელს ნაკამურა სენსეის მიენიჭა მე-8 დანი და იგი დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს ტრადიციული ოკინავური გოჯუ-რიუს ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციის.



პირველი კითხვა თქვენსა და სენსეი ლევან როგავას ურთიერთობებს შეეხება. როგორ დაახასიათებდით მას და მთლიანად, IOGKF საქართველოს?

სენსეი ლევანს ბევრჯერ შევხვედრივარ და მიგარვიშია მასთან, განსაკუთრებით ოკინავაზე. მას და მის მოსწავლეებს პირველად შევხვდით დიდი ხნის წინ, რომი, IOGKF იტალიის მიერ და-გეგმილი ეროვნული გაშუკუს დროს.

განსაკუთრებული გრძნობა მაქვს სენსეი ლევანის მიმართ, ძალიან გამოცდილი კარატეკა და სენსეია, მაგრამ, უპირველესად, ის არის ძალიან ფაქიზი სულის ადამიანი, აქვს დიდი ბუდოკასა და მასწავლებლის ყველა თვისება, რაც ძალიან იშვიათია. მასთან ძლიერ კავშირს ვგრძნობ.

გოჯუ-რიუში რა არის მთავარი საქმე? ანუ, რა გაძლევთ ამ გზაზე მუდმივად ზრდის შესაძლებლობას?

გოჯუ-რიუში ვარჯიში დავიწყე 13 წლის ასაკში (ახლა თითქმის 60-ის ვარ...), დავიწყე იაპონური გოჯუ-რიუთი, მაგრამ მაშინ ბევრი ეჭვი მქონდა ჩემი პრაქტიკის სისწორეში და ეფექტურობაში, ამიტომ ყოველთვის ვეძებდი და ვგრძნობდი, რომ კიდევ ბევრი რამ იყო საპოვნელი. ასე ხდებოდა, სანამ არ გამიმართლა და არ შევხვდი მორიო ჰიგაონა სენსეის ოკინავურ გოჯუ-რიუს.

ეს იყო ნამდვილი შოკი და იმ დღიდან ჩემი ყველა ეჭვი გაქრა.

ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, არ შეწყვიტო ვარჯიში. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალიან ბევრი ვარჯიში (თუმცა, ზოგჯერ ესეც საჭიროა).

ყოველდღიური ვარჯიში მოგვცემს შესაძლებლობას, ვიყოთ ძლიერები, გავაუმჯობესოთ ჩემი ტექნიკა და არ დავკარგოთ ფორმა ხანდაზმულ ასაკშიც.

გოჯუ-რიუ თავისი ჰოჯო უნდოთი, ჯუნბი უნდოთი, სახჩინ და ტექშო კატათი გვთავაზობს სრულყოფილ ინსტრუმენტებს ეფექტური ვარჯიშისათვის ნებისმიერ დროსა და ასაკში.

ჩემმა ძენის მასწავლებელმა ერთხელ მითხრა: „თითოეული უსტის სრულყოფისათვის ვარჯიში და ძირითადი ტექნიკის ყოველდღიურად მრავალჯერ გამეორება, შეიძლება, გიუური და გამოუსადეგარი ჩანდეს. ეს იგივეა, რომ ყოველდღე პატარა მნიერა გადადოთ ყულაბაში, თუნდაც 1 ცენტი. ერთ მშენებელ დღეს, როცა რთულ სიტუაციაში მოხვდებით, შეგიძლიათ, გახსნათ ყულაბა და იპოვოთ განძი, რომელიც გადაარჩენს თქვენს სიცოცხლეს.“



პარლო ფაიტო სპორტის სანსაზღიურებელი, მე-7 დანი

რვა პითხვა სანსაზღიურებელი

გოჯუ-რიუში რა უფრო მნიშვნელოვანია, პრინციპები თუ ინდივიდუალიზმი?

თუ გულისხმობთ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია - ტრადიციის მკაცრად დაცვა თუ კრეატიულობა, - გიპასუხებთ: ორივე მათგანი.

ძალიან მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ ტრადიციის სრულყოფილად შეთვისება

და გადამუშავება, რათა გვქონდეს გამჭედაობა, შევიტანოთ საკუთარი წვლილი ჩვენი სტილის ევოლუციასა და სრულყოფაში.

როგორც ვნახეთ, საპრძოლო ხელოვნებისა და გოჯუ-რიუს ისტორიაში ყველა დიდმა ოსტატმა თავდადებით ივარჯიშა თავიანთ სენსებთან, სრულყოფილად შეითვისება და ►



► შემდგომ შექმნა რაღაც ახალი, - ახალი გზა, რათა გაეუმჯობესებინა ის, რაც ისწავლა.

გავიხსენოთ ჩოჯუნ მიაგი სენსეი, რომელმაც ჯუნბი უნდო უფრო დეტალურად და სტრუქტურირებულად წარმოადგინა გოჯუ რიუში, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა. გვახსოვს, აგრეთვე, მის მიერ შექმნილი ტენში კატა და სანჩინ კატას ახალი ვერსია. მიაგი სენსეის ასეთი მიღება ცვლილებისადმი არ ნიშნავს მისი სენსეის, კანონის უპატივცემულობას ან უგულ-ვებელყოფას.

აღსანიშნავია უმნიშვნელოვანესი კვლევა, რომელსაც ტეცუჯი ნაკამურა სენსეი ახორციელებს გოჯუ-რიუს ვარჯიშების ზოგიერთი თავისებურების განვითარებისთვის.

რა თქმა უნდა, ყველას არ შეუძლია ამის გაკეთება.

ხშირად ზოგიერთი ადამიანი ცვლის ფორმებს მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის ტრადიციული ფორმის კარგად შესრულება ან იმის გამო, რომ გარკვეული სირთულეები აქვთ მის შესრულებაში. ეს დიდი შეცდომაა და სტილის გადაგვარებას იწვევს.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციურ ოსტატებს ჰქონდეთ გამბედაობა, გადააბიჯონ ძველი ოსტატების მიერ ჩატარებულ კვლევებს. როგორც გუსტავ მალერმა თქვა: "ტრადიცია ფერფლის თაყვანისცემა კი არა, ცეცხლის შენარჩუნებაა".

რას ნიშნავს "დოჯო"?

დოჯო ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს პრაქტიკაში.

ტერმინი დოჯო მომდინარეობს სანსკრიტიდან Bodhimanda, რაც ნიშნავს "ადგილს, სადაც ეძებენ გამოღვიძებას", რაც კარგად აღწერს ასეთი ადგილების მნიშვნელობას.

დოჯო არ არის მხოლოდ სპორტული დარბაზი.

მტკიცედ მჯერა, რომ დოჯოში (რეიშიკი) არსებული ფასეულობები ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეში სწორი მორალური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად და ცნობიერების გასავითარებლად, რასაც ჩვენ ზანშინს უუწყდებთ.

დველად, ოკინავურ დოჯოში, ეტიკეტის ფორმებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სტილი უფრო ჩინური იყო, მაგრამ შემდეგ, იაპონელების და

ძენის გავლენით, ფორმები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ჩემი აზრით, ეს იყო კარატეს ევოლუცია.

დოჯოს აქეს თავისი ტრადიციული "ენები", რომლებზეც უნდა ილაპარაკონ ნამდვილ დოჯოში, ასევე, მის შენობაში პატივი უნდა სცე ტრადიციულ ფორმებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანი და ძლიერია და არ შეიძლება მათი გამოტოვება ან იგნორირება.

დიდი ხანია, რაც ოკინავაზე მოგზაურობთ. ცხადია, ეს ფასდაუდებელი ბედნიერებაა. საინტერესოა თქვენი იქაური გამოცდილება. რა არის ყველაზე მთავარი, რასაც იქ პოულობთ?

ოკინავა და ზოგადად იაპონია ჩემთვის განსაკუთრებული ადგილია.

ვგრძნობ, რომ ჩემი სულიერი სახლი იქ არის.

პირველ რიგში ოკინავაზე მყავს ჩემი (ჩვენი) ძვირფასი მასნავლებელი, მორიო ჰიგაონა სენსეი და მისი ხელმძღვანელობით ვარჯიში ჩემი იქ ჩასვლის პირველი მიზეზია.

ჰიგაონა სენსეის დოჯოში ვარჯიში ნამდვილად არის იმ გამოცდილების პიკი, რომლითაც ყველა კარატეკას შეუძლია იცხოვონ.

► ამასთანავე, ოკინავა და ყველა გაშუაუები მთელ მსოფლიოში არის სანუკარი შესაძლებლობა, რომ შევხვდეთ ჩვენს კოლეგებსა და IOGKF-ის ძმებს, ერთად ვივარჯიშოთ და ერთმანეთის სრულყოფა მოვახდინოთ.

ვიცით, რომ უამრავი მოსწავლე გყავთ. რა გზას აჩვენებთ მათ, სად მიგყავთ ისინი, რა არის ოქვენი საპოლოო წერტილი ანუ მიზანი?

ჩემი დოჯო 37 წლის წინ დავაარსე, ასე, რომ აქ სტუდენტების უკვე რამდენიმე თაობამ გაიარა.

ბევრი მათგანი პატარა ბავშვი იყო, როცა ვარჯიში დაიწყეს. ახლა ზრდასრულები არიან, შევი ქამრის მფლობელები და ინსტრუქტორები. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვარჯიშობენ ჩემს დოჯოში და ეს არის დოჯოს ნამდვილი საგანძური, პატიოსანი და უწყვეტი ზრუნვის შედეგი, რომელსაც ჩემი დოჯო სთავაზობს სტუდენტებს.

ვფიქრობ, ყველა სტუდენტი იწყებს სხვადასხვა საჭიროებებით, მოლოდინებითა და მიზნებით, მაგრამ, რამდენიმე წლის შემდეგ, სწორ მიდგომას მიჰყავს ისინი ჩვენი ვარჯიშის რეალური მიზნის გაგებამდე, რაც არის საკუთარი თავის, სხვების და სამყაროს ღრმად შეცნობა, მისი კანონებით იმის სწავლა, თუ როგორ იცხოვოს "კოსმიური წესრიგის" მიხედვით.

მე მტკიცედ მჯერა, რომ Dōjō მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ადგილია ჩვენს საზოგადოებაში და შეუძლია დაეხმაროს ადამიანებს უკეთეს ადამიანებად ჩამოყალიბებაში.

როგორც ძიგორო კანო სენსეიმ, ძიუდოს დამფუძნებელმა თქვა: "გაძლიერდე, რომ იყო სასარგებლო".

უანგარობისა და კეთილშობილების გარეშე საბრძოლო ხელოვნებაში ადამიანების მომზადება, შეიძლება, საშიშიც იყოს.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნების მთავრობებს საემარისად არ ესმით ჩვენი დოჯოს ნარმოუდგენელი საგანმანათლებლო ლირებულება და მათსაემარის მხარდაჭერას არ უწევენ.

კავშირი ძენისა და კარატეს შორის, - თქვენ ამის საუკეთესო გამოცდილება გაქვთ.

ეს რთული კითხვაა.

ძენის, როგორც მედიტაციურ, საგანმანათლებლო და სულიერ პრაქტიკას, შეიძლება კავშირი ჰქონდეს ყველა მოქმედებასთან, იქნება ეს საპირფარულოს დასუფთავება (ძენის ძალიან



მნიშვნელოვანი პრაქტიკა), საჭმლის მომზადება, ზაზენში ჯდომა თუ კარატე კატას ვარჯიში.

ზაზენი (მჯდომარე მედიტაცია) არის ძენის პრაქტიკის გული, მაგრამ ჩემთვის და ჩემი კარატეს პრაქტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ძენის ვარჯიში და განათლება ჩემი ძენის ოსტატის ხელმძღვანელობით.

არსებობს ძლიერი კავშირი ძენისა და კარატეს შორის, მაგრამ ის უნდა აღმოგაჩინოთ ძალისხმევითა და ერთგულებით, ნამდვილი ძენის ოსტატის ხელმძღვანელობით.

ამ ჩართულობის გარეშე ძნელია რეალური კავშირის გაგება და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩემი მასწავლებლისაგან ნასწავლმა ძენმა მომცა გასაღები იმის შესაც-

ნობად, თუ როგორ გამომეყენებინა კარატეს ვარჯიშის პრინციპები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რას უსურვებთ დამწებ კარატეკებს?

ვუსურვებ, ვარჯიშის დასაწყისშივე გაიგონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათი შეხვედრა დოჯოში და ოკინავური გოჯუ-რიუს მასწავლებელთან და მადლიერნი იყვნენ ამისათვის. როცა გახდებან უფრო დახელვნებულნი, როგორც კარატეკა, შესთავაზონ ეს უნარები სხვებს. მათ მიიღეს საგანმური, რადგან ეს არის ცხოვრების აზრი და პრაქტიკაში საკუთარი თავის გაუმჯობესების ერთადერთი გზა.

დიდი მადლობა კითხვებისთვის. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ IOGKF საქართველოს წევრებს, მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას და ერთად ვარჯიშს.

ოკინავა - კარატეს სამშობლო, სადაც მდებარეობს ორი მთავარი საბრძოლო ხელოვნების სასახლე - ბუდოკანი და კარატე კაიკანი. მოგეხსენებათ, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ „ბუდოსაი“ (გოჯუ-რიუს მთავარი ფესტივალი) ამ ორ სასახლეში ტარდება. წინამდებარე სტატიაში გვინდა, გიაშბოთ „კარატე კაიკანის“ შესახებ.



პარადგინული მასშტაბი

“კარატე კაიკანი” (沖縄空手会館) არის კომპლექსი ნაპას სამხრეთით, კუნძულ ოკინავაზე. 2017 წელს გახსნილი კომპლექსი ეძღვნება კარატეს და მოიცავს სხვადასხვა სივრცეებს, მრავალ დოკონსა და მუზეუმს, მათ შორისაა კარატეს დოკო ითხოვთ.

აქვეა სპეციალური დოკუმენტი "შურები ნო-
იაკატი". ეს არის ნახევრად ლია, წითელი
კრამიტის სახურავიანი დოკუმენტი, რომელიც
ნაგები კედლებით. იგი შეიძლება

გამოყენებულ იქნას მაღალი რანგის მქონე ადამიანების გამოცდებისთვის და ისეთი ღონისძიებისთვის, როგორიცაა კარატეს დღეები, რაც განასხვავებს მას ზოგადი გამოყენების სივრცეებისაგან. (91 კვ.მ.).

შესაძლებელია დოკოების და სავარჯიშო აღჭურვილობის ქირაობა, მათი გამოყენება მცირე ჯგუფური ვარჯიშებისთვის/პროგრამებისთვის და მასშტაბური ღობისთვის.

გარე სავარჯიშო ეზო

ეზო მდებარეობს მთავარ შენობასა და
სპეციალურ დოკოს შორის. მისი
გამოყენება შესაძლებელია არა
მხოლოდ კარატეს, არამედ სხვა
ადგილობრივი ღონისძიებებისთვისაც.
(დაახ. 750 კვ.მ.)

ვარჯიშის გარდა, შეგიძლიათ, ეწვიოთ
მუზეუმს, რომელიც აღჭურვილია
ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით
და შერწყმულია ძველ სავარჯიშო
იარაღებთან და აღჭურვილობასთან.

შენობის ფართობია 7,810 კვ.მ.

ოლქაი სამინისტრო "სანჩინ"

საერთაშორისო ოკინავური გოჯუ-რიუ
კარატე დოს ფედერაციის ორგანიზებით, სენსეი ტეცუჯი ნაკამურამ და
უფროსმა ინსტრუქტორებმა ოწლაინ

სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციის ინსტრუქტორები და სენსეირები.



მიამოტო მუსაში

მიამოტო მუსაში (1584 - ივნისი, 1645) გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამოჩენილი იაპონელი ხმლის ოსტატი, ფილოსოფოსი, მწერალი და რონინი (უბატონო სამურაი). ითვლება, რომ იაპონიის ისტორიაში იყო იყო ხმლის ერთ-ერთი ყველაზე დახელოვნებული ოსტატი და სწორედ მისი გამორჩეული სტილისა და სიძლიერის გამო გახდა იყო ლეგენდარული. ცნობილია, რომ 13 წლის ასაკიდან მოყოლებული, მას 60-მდე ორთაბრძოლა ჰქონდა და დამარცხება არ განუცდია.

მისი გამორჩეული საბრძოლო სტილი მოიცავს „ნიტენ“ იჩი რიუ“-ს მიმართულებას, რომელიც მოიაზრებს ბრძოლას ორი ხმლით. სიცოცხლის ბოლო წლებში მუსაში მიხვდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი სტრატეგული პრინციპებისა და პრაქტიკული ფილოსოფის გამოყენება შესაძლებელი იყო არა მხოლოდ ბრძოლისას, არამედ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზეც. სწორედ ამ ფილოსოფიას მიუძღვნა თავისი წიგნი „გორინ ნო შო“, იგივე „ხუთი გრაგნილი“. წიგნში აღნერილია როგორც სხვადასხვა საბრძოლო ტაქტიკა, აგრეთვე განსხვავებული სტრატეგიები, ფილოსოფიური მიდგომა და სიღრმისეული მზადყოფნის მდგომარეობა. დღეისათვის ამ წიგნს იცნობენ არა მხოლოდ



საბრძოლო ხელოვნების მიმდევრები, არამედ ბიზნესმენებიც, რადგან მასში ნებისმიერი სფეროს ნარმომადგენელს შეუძლია, იპოვნოს ისეთი მნიშვნელოვანი სიბრნე, როგორიცაა მოწინააღმდეგის მოძრაობისა და მდგომარეობის ამოცნობა, საკუთარი თავის გონებრივი მომზადება, რიტმის შეგრძება, სწორი მომენტის დანახვა და აშ.

ყველაფერთან ერთად, მუსაში აგრეთვე გამოირჩეოდა მისი ძენ სტილის ფუნჯის

მხატვრობით, კალიგრაფიით, ხისა და ლითონის ნამუშევრებით.

1643 წელს მიამოტო მუსაშიმ გადაწვიტა განდევილი ცხოვრება და მიაშურა რეიგანდოს გამოქვაბულს, სადაც სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. სწორედ რეიგანდოს გამოქვაბულში დაწერა მან ზემოხსენებული ნაწარმოები - „ხუთი გრაგნილი“, რომლის დასრულების შემდეგ მალევე გარდაცვალა - 1645 წელს.